საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსამსახურის თავმჯდომარემ ეკატერინე აზარაშვილმა განაცხადა, რომ 27 ოქტომბერს საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით ამომრჩეველთა სიები დაზუსტდა. ქვეყნის მასშტაბით 3 მილიონ 537 ათას 719 ამომრჩეველია დარეგისტრირებული.
ცესკოს ინფორმაციით, უცხოეთში გახსნილ 52 საარჩევნო უბანზე 48458 საქართველოს მოქალაქე მისცემს ხმას.
საარჩევნო ბიულეტენები 21 ოქტომბერს თბილისის 10 გამომცემლობაში დაიბეჭდება. ბეჭდვის პროცესს ცესკოს წევრებთან ერთად, 7 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც დააკვირდებიან.